KA015519110870816

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ - იუსტიციის სახლის ფილიალების შენობა-ნაგებობებიდან ფართის ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით იჯარით გაცემის შესახებ

№250/ს **22 / აპრილი / 2016 წ.**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის და 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 დეკემბრის №328 დადგენილების“, „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის № 1-1/172 ბრძანებით დამტკიცებული წესის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იუსტიციის სახლის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 25 ივლისის N85 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-9 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილის 12.04.2016 წლის № 2388 და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 14.04.2016 წლის № 5/18453 წერილების, სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს №№ 01.07.1211; 4/09-01675; 01.28.0116; 01.28.0124; 04/09-10668; 01.07.1194; 01.07.1206; 02/25-0365; 01/18-1123; 01.07.1226; 04/09-01682, 01/28-0098; 01.28.0109; 01.07.1220; 02/25-0366; 01.28.0105 დასკვნების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. განხორციელდეს სსიპ-იუსტიციის სახლის ფილიალების (თბილისის; ბათუმის; ქუთაისის; რუსთავის; მარნეულის; გურჯაანის; ყვარლის; თელავის; თიანეთის; ყაზბეგის; ახალციხის; გორის; ზუგდიდის; ფოთის; ოზურგეთის; მესტიის) შენობა-ნაგებობებიდან, თვითმომსახურების ტერმინალების (შემდგომში - ტერმინალი) განსათავსებელად, 19 $მ^2$ შენობის ფართის იჯარით გაცემა (ბრძანებაზე თანდართული მონიშნული ნახაზის შესაბამისად - დანართი №1), ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წლის ვადით.
2. საწყისი ყოველთვიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 2 200 (ორი ათას ორასი) ლარით, ხოლო სავაჭრო ბიჯის ოდენობა 100 (ასი) ლარით.
3. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბე-ს ოდენობა განისაზღვროს 6 600 (ექვსი ათას ექვსასი) ლარით, რომლის მოქმედების ვადაც 7 დღით უნდა აღემატებოდეს ქონების სარგებლობაში გაცემის ვადას.
4. ელექტრონული აუქციონი გამოცხადდეს 2016 წლის 22 აპრილს და გაგრძელდეს 5 (ხუთი) დღის ვადით.
5. უძრავი ქონების იჯარის წესით სარგებლობაში გადაცემისთვის დადგინდეს შემდეგი პირობები:
ა) იჯარის საგანი გამოყენებულ იქნას მხოლოდ დანიშნულებისამებრ, მოიჯარემ მოუაროს მას და მკაცრად დაიცვას ტექნიკური უსაფრთხოების და ექსპლუატაციის წესები; მეიჯარის თანხმობის გარეშე არ განახორციელოს სხვა საქმიანობა, გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულისა;
ბ) უზრუნველყოფილ იქნას განთავსებული ტერმინალების გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირება; ტერმინალების ტექნიკური და საინკასაცო მომსახურება განხორციელდეს იუსტიციის სახლის ფილიალებისათვის დადგენილ არასამუშაო საათებში;

გ) გამოყოფილ იქნას უფლებამოსილი პირი (მოიჯარის თანამშრომელი ან სხვა პირი), რომელიც ტერმინალის ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოახდენს რეაგირებას დისტანციურად ან საჭიროების შემთხვევაში ადგილზე მოსვლით;

დ) უზრუნველყოფილ იქნას მომხმარებლისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების გზით, არაუგვიანეს ასეთი ფაქტის დაფიქსირებიდან 12 საათის ვადაში;

ე) იუსტიციის სახლის ფილიალებში განთავსებული ყველა ტერმინალისათვის დადგენილ იქნას მომსახურებისათვის დაწესებული თანაბარი საკომისიო მოსაკრებლის ოდენობა, წინააღმდეგ შემთხვევაში იუსტიციის სახლი იტოვებს უფლებას მოითხოვოს მისი კორექტირება;

ვ) აკრძალულია ტერმინალის კორპუსზე ნებისმიერი სახის რეკლამის განთავსება. ტერმინალის ეკრანზე განსათავსებელი ნებისმიერი სახის რეკლამა შეთანხმებულ უნდა იქნას სსიპ - იუსტიციის სახლთან;

ზ) უზრუნველყოფილ იქნას ტერმინალების დამოუკიდებელი ინტერნეტ კავშირი;

თ) საიჯარო ხელშეკრულების გაფორმება განხორციელდეს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

6. ტერმინალების სპეციფიკაცია, განთავსების ადგილები და დიზაინი განისაზღვროს ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად.

7. დამტკიცდეს ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ ინფორმაციის განთავსებასთან ერთად ვებ-გვერდზე გამოსაქვეყნებელი ხელშეკრულების პროექტი დანართი №3-ის შესაბამისად.

8. ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შეტყობინების მიღების დღიდან ორი კვირის ვადაში, მოიჯარეს წარმოეშობა ვალდებულება გამოათავისუფლოს საიჯარო ქონება; ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მოიჯარის მიერ ქონებაზე გაწეული ხარჯები (ასეთი არსებობის შემთხვევაში) არ ანაზღაურდება.

9. დაევალოს იუსტიციის სახლის მომსახურების განვითარებისა და გაყიდვების სამსახურს ელექტრონული აუქციონის შესახებ განაცხადის სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე (www.eauction.ge) განთავსება და აუქციონის მიმდინარეობის მონიტორინგი.

10. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

11. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

სსიპ იუსტიციის სახლის აღმასრულებელი
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

გივი აზაურაშვილი